სახელი: ლიზი

გვარი: მიქავა

ასაკი: 15

სსიპ გიორგი ჭყონდიდელის სახელობის მე-7 საჯარო სკოლა

კლასი: მე-9

წერილი ევროპელ თანატოლს -დამოუკიდებლობიდან თავისუფლებამდე

მოგესალმები, ჩემო ევროპელო თანატოლო, საქართველოდან!

მე იმ პატარა ქვეყნის შვილი ვარ, ოდითგან რომ არსებობს ამ დიდ სამყაროში შთამბეჭდავი ისტორიითა და საინტერესო ადგილმდებარეობით. უფრო მეტიც, საოცარი ტრადიციებით , მთებით, ველებითა და გამორჩეული სტუმარ-მასპინძლობით... ყოველი მეორე რომ პოეტია და სხვისი გადარჩენა, დახმარება, ცხოვრების წესად რომ გაუხდია...მტერში ვაჟკაცი დაუნახავს და სიცოცხლე უჩუქნია...მრავალრიცხოვანი მტერი ერთობისა და ლოცვის ძალით მოუგერიებია...დედას ცხრა ვაჟკაცი ჰყოლია და ცხრავე ბრძოლის ველზე დაჰხოცვია, წელში არ მოხრილა დედა, პირიქით, იმით იყო კმაყოფილი, რომ მტერზე ჯავრი იყარეს მისმა გაზრდილებმა...

ჯერ კიდევ როდის, მეთორმეტე საუკუნეში მეფედ ქალი გვყავდა და ეს იყო ხანა ოქროსი. როცა ვკითხულობ ჩემი ქვეყნის ისტორიას, გაოცებული ვარ, როგორ ახერხებდა ამდენს...

ამ საოცარ ქვეყანას საქართველო ჰქვია. მას იზოლირებულად არ უცხოვრია. სულ იცავდა მიწა-წყალს და იბრძოდა დამოუკიდებლობისთვის, თავისუფლება იყო მისი ცხოვრების მიზანი და ამ მიზნისთვის იღვწოდა მუდამ...

ევროპასთან კავშირი ოდითგან გვქონდა. ამის დასტური ათონის მთაა, სადაც ქართველი ბერების ღვაწლი განფენილ იყო მთელ საბერძნეთში. უფრო მეტიც, ბარდა სკლიაროსის აჯანყების დროს საბერძნეთს საქართველო იმედად მიაჩნდა და გადაარჩინა კიდეც ბერმა თორნიკეს სტრატეგიამ ელინთა ქვეყანა. უკვდავია თორნიკე ერისთავის სახელი, მან საბერძნეთს შერყეული საძირკველი გაუმყარა.

ყოველი დროის ქართველისთვის სასიამოვნოდ ჟღერს სიტყვები: ,,მე ვარ ქართველი ანუ ვარ ევროპელი“. ევროპულობის ნიშანი საქართველოს ისტორიაში ყოველ ფეხის ნაბიჯზე აღინიშნება, როგორც ისტორიაში, ასევე ლიტერატურაში. მთელი მისი დამოუკიდებლობის მანძილზე ჩემი ქვეყანა ურთიერთობდა ევროპის ქვეყნებთან. ჯერ მარტო ჩემი ქალაქის შენობები, რომელიც აგებულია გერმანელი არქიტექტორის ედმონდ ფრიკის მიერ, დასტურია იმისა, თუ როგორი ურთიერთობა გვქონია ევროპასთან. ჩემი ქალაქის შუქურაც ამის უტყუარი დასტურია. იგი 1860 წელს ინგლისში შეუკვეთეს ჩამოსასხმელად და 1864 წელს გაანათეს პირველად. მას შემდეგ იგი არასდროს ჩამქრალა და დღეს უამრავ ტურისტს აოცებს.

მეცხრე საუკუნეში გრიგოლ ხანძთელმა ჩვენმა დიდმა მოღვაწემ საბერძნეთიდან და იერუსალიმიდან ჩამოიტანა სამონასტრო წესები და ბერთა ტიპიკონი ისე შეადგინა, რომ ქართულ ხასიათს ევროპული წესებიც დაურთო და ასე გააბრწყინა უდაბნო ტაო-კლარჯეთისა, რომელიც დღეს თურქეთის ტერიტორიაა. ისიც უნდა აღვნიშნო, რომ არამარტო ჩემი ქვეყანა ილტვოდა ევროპისკენ, არამედ ევროპაც მოილტვოდა ჩვენკენ. ამის დასტური უძველესი დროის მითი არგონავტებზეა. ისევ უნდა დავუბრუნდე იმ ისტორიას, რომ ბერძენი

ფილოსოფოსები, კერძოდ, სტრაბონი, ფაზისის აკადემიაში ღებულობდა განათლებას. ბევრი ქართველი მწერალი და გამოჩენილი პიროვნება ევროპაში მოღვაწეობდა. მაგალითად

კონსტანტინე გამსახურდია... ნიკო ნიკოლაძე ხომ პირველი ქართველი ევროპელია, რომელმაც საოცარი ურთიერთობის ხიდი გადო საქართველოსა და ევროპას შორის. ნიკო იყო ის ადამიანი, რომელმაც დაარწმუნა როტშილდერი, რომ წვრილი სადენებით შეიძლებოდა ელექტროენერგიის გადაცემა. სწორედ ამის შემდეგ მოხდა პარიზის ელექტროფიცირება ჩანჩქერ კრეილზე აგებული ჰესიდან ნაწარმოები ელექტროენერგიით. ამით იმის თქმა მინდა, ჩემო ევროპელო მეგობარო, რომ საქართველო და ქართველი ხალხი გონიერი და გაბედული ხალხია, რომელიც კრიტიკულ ჟამს , სწორი და პრინციპული მიდგომით სასურველ შედეგს დადებს არა მარტო თავისი ქვეყნისთვის, არამედ მსოფლიოსთვის. იყო დრო, როცა ქართველი კაცისთვის ევროპის კარი დახშული იყო. დღეს, ყველას შეუძლია სხვადასხვა დანიშნულებით ეწვიოს მას. დამოუკიდებელი საქართველოს მკვიდრი ხშირად სტუმრობს ევროპას. სამწუხაროდ, საქართველოს აქვს ოკუპირებული ქვეყნები, რომელიც მოკლებულია ევროპულ ცივილიზაციას და ამიც გამო ვწუხვართ ძალიან. ვფიქრობთ, დადგება ის დღე, როცა საქართველოს ყველა კუთხე იგემებს თავისუფლების ძალას და ყველა მეზობელი ქვეყანა იქნება ჩვენი კეთილი მესაზღვრე. ჩვენი ადგილმდებარეობა არ უნდა იყოს ჩვენთვის მკაცრი განაჩენი. პირიქით ჩვენ უნდა შევძლოთ სხვადასხვა ერს შორის კეთილი დამოკიდებულების ჩამოყალიბება, ნურც თავად ისურვებენ ჩვენზე ცუდს. რეალობაა, აბრეშუმის გზა ჩვენს ინტერესებს გააერთიანებს და ერთ მუშტად შეგვკრავს.

საქართველოს გლობუსზე თუ დახედავ , პირველი, რაც ყველას ყურადღებას მიიპყრობს, ამ პატარა ქვეყნის გეოპოლიტიკური მდებარეობაა.როდესაც საბჭოთა კავშირი დაიშალა და საქართველო დამოუკიდებლობის პირველ ნაბიჯებს დგამდა, საჭირო გახდა ახალი ქვეყნის მნიშვნელობისა და ფუნქციის დამკვიდრება რეგიონში. სწორედ ამ პერიოდში იქმნება სატრანსპორტო დერეფანი-ევროპა, სამხრეთ კავკასია, ცენტრალური აზია... აბრეშუმის გზაზე მდებარეობამ უმნიშვნელოვანესი ფუნქციით დატვირთა საქართველო უძველესი დროიდან. იგი დღესაც მნიშვნელოვან როლს ასრულებს გლობალური სატრანზიტო მაგისტრალების რეალიზება-განვითარებაში, მონაწილეობს ეკონომიკურ პროცესში და რეგიონის ენერგოუსაფრთხოების უზრუნველყოფაში.

ვფიქრობ, ჩვენ ერთმანეთისგან ბევრს ვისწავლით. ურთიერთთანამშრომლობით საოცარი ცხოვრების წესებს დავნერგავთ. ჩვენთვის ევროპის კარი ჯადოსნური კვერთხით არ უნდა იღებოდეს. ხვიჩა კვარაცხელია ერთი იმ ქართველთაგანია, რომელმაც ევროპას უჩვენა , თუ რა გენისანი ვართ. ეს სპორტით განთქმული სახელია, არის ბევრი გონიერი ახალგაზრდა, რომელმაც არაერთი წარმატება მოიპოვა ევროპის ქვეყნებში და იქ მკვიდრობს. მე , როგორც დამოუკიდებელი საქართველოს შვილი და ოცდამეერთე საუკუნის ახალგაზრდა ვემადლიერები ჩემს ხელისუფლებას იმ მიღწევებისთვის, რა შესაძლებლობაც ევროპასთან ურთიერთობისთვის მოგვცა. დღეს მცოდნე მოსწავლეს თუ სტუდენტს ადვილად შეუძლია

ისწავლოს ევროპაში, ქართველ ტურისტს იმოგზაუროს და ასე შეისწავლოს თქვენი მხარე. სწორედ ეს არის დამოუკიდებელი საქართველოს ძლიერი მხარე! ქართველი კაცი კარჩაკეტილ ცხოვრებას არასდროს იყო ჩვეული, ის ყოველთვის სცემდა ადამიანურ ღირებულებებსა და ფასეულობებს პატივს, თავს შეაკლავდა ვინც კი ამას შეეცილებოდა და დღესაც ასეა... ქართველი არ გაცვლის თავის სამშობლოს,, სხვა ქვეყნის სამოთხეზედა“ ... ნებისმიერი ქვეყანა უნდა მანამდე, სანამ მისი ქვეყნის ღირსება იქნება შენარჩუნებული!

 დღეს 21-ე საუკუნეა და დღესაც ისევ ისე ვჭირდებით ერთმანეთს, როგორც არასდროს! ნუ მოიხურავთ კარებს! ღმერთს კაცობრიობა ომებისთვის არ გაუჩენია! ჩვენ ერთმანეთის ხიდი უნდა გავხდეთ და ასე გადავარჩინოთ სამყარო! ჩვენ დავუდოთ მსოფლიო ხალხებს მაგალითად თუ როგორ შევქმნათ ისეთი ცხოვრება, სადაც თხა და მგელი ერთად ძოვდეს!

გავუწოდოთ სიყვარულისა და მეგობრობის ხელი ერთმანეთს...

Name: Lizi
Last name: Mikava
Age : 15
LEPL Giorgi Chkondideli Poti Public School #7
Grade: IX

Letter to an European friend from independence to freedom

Greeting my European friend from Georgia.

I am the child from a small country that existed in this great world since ancient times with an impressive history and interesting location. Moreover, with amazing traditions, mountains, fields and outstanding hospitality... Every second person is a poet and saving , helping others is the way of their lifestyle.. They have seen a brave man in the enemy and had given him life... They have repelled numerous enemies with the power of unity and prayer... Mother had nine brave sons and all of them were killed on the battlefield, mother did not give up , on the contrary, she was satisfied with the fact that her sons defeated their enemies...

Even In the 12th century, we had a woman as a king and this was a golden age. When I read the history of my country, I am amazed how she managed so much…

This wonderful country is called Georgia. It did not live isolated. It always defended its home land fought for independence, freedom was the goal of its life and always strived to this one...

We have had relationship with Europe since ancient times. Proof of this is Mount Athos, where Georgian monks work was known throughout the Greece . Moreover, during the rebellion of Barda Skiarosi, Greece considered Georgia its hope and moreover was saved country of Alin by Tornike Eristavi's strategy. The name of Tornike Eristavi is immortal.

For Georgians of all times the words "I am Georgian and therefore I am European." Sounds pleasant. The sign of Europeanism seems at every step in the history of Georgia and also in literature. Throughout its independence, my country had negotiation with European countries. Moreover the buildings of my city was built by the German architect Edmond Frick, This fact is a proof of relationship we had had with Europe. The lighthouse of my city is also a clear example of this. It was ordered to be cast in England in 1860 and was lit for the first time in 1864. Since then, it has never gone out and today many tourists are excited of it.

In the ninth century, our great figure Grigol Khandzteli brought monastic rules from Greece and Jerusalem and he combined European rules to the Georgian character and thus brightened the Tao-Klarjeti desert, which is today the territory of Turkey. I should also mention not only my country was striving to Europe, but Europe also was striving towards Georgia . The ancient myth of the Argonauts is proof of this. I must return to the history that Greek philosopher Strabo got his education at the Phases Academy.. Many Georgian writers and prominent people worked in Europe. For example, Konstantine Gamsakhurdia...

Niko Nikoladze is the first Georgian European who built a bridge of amazing relations between Georgia and Europe. Niko was the man who convinced Roshtilder that electricity could be transmitted through thin wires. Soon after this Paris was electrified with electricity generated from the hydroelectric power plant built on the Craille waterfall. . By this I want to say you my European friend, that Georgia and the Georgian people are smart and courageous people who, in critical times , with a right and principal approach, will achieve the desired result not only for their country, but also for the world. There was a time when the door to Europe was closed to Georgians. Today, everyone can visit it for various purposes. A resident of independent Georgia often visits Europe. Unfortunately, Georgia has occupied countries that are devoid of European civilization, and we are very sorry for this. We think that some day every region of Georgia will gain freedom and all neighboring countries will be kind . Our location should not be a hash verdict for us. On the contrary we should be able to establish a good relations between different nations and the reality is that the Silk Road will unite our countries interests .

If you look at the globe of Georgia, the first thing you can pay attention is the location of this small country. When the Soviet Union collapsed and Georgia took the first steps towards independence it

became necessary to establish the importance and function of a new country in the region. It was during the period when a transport corridor was created- Europe, the south Caucasus, Central Asia..The location on the Silk road has given Georgia a very important function since ancient times. It still plays an important role in the implementation and development of global transit highways, participates in the economic process and in ensuring the energy security of the region. I think We will learn from each other. Through inter cooperation, we will implement amazing lifestyle. the door of Europe should not be open for us with a magic wand.

. Khvicha Kvaratskhelia is one of those Georgians who showed Europe what gene we are from. There are many intelligent young people who have achieved many successes in European countries and live there. I, as a child of independent Georgia and a young person of the twenty-first century, am grateful to my government for the achievements that have given us the opportunity to interact with Europe. Today a skillful student can easily study in Europe, a Georgian tourist can travel and study your country. This is the strong side of independent Georgia! Georgian people always respect human values . He would kill anyone who would interfere with this and it is still like this today…They will not exchange his homeland for the "paradise of another country"

Today is the 21st century and we still need each other as never before! Do not close the doors, please. God did not create humanity for wars! We must become a bridge for each other and save the world like this! Let's give the hand of love and friendship to each other...